ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180362980**

თარიღი: **05.02.2018**

ადრესატი:
ირაკლი ბაღდავაძე
პირადი ნომერი: 01005001713
მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N41

ბატონო ირაკლი,

სამსახურში შემოსული თქვენი N19/01173412572-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N25, მიმდებარედ (საკ. კოდი #01.10.06.014.072) 2015 წლის 21 მარტის N1794417 (AR1275942) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლის მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

,,6-1" ფასადი: ,,4-3" მონაკვეთში სადარბაზოში გისოსების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები და შეცვლილია ღიობების გაბარიტები. აღნიშნული ფანჯრები არ არის სრულყოფილად შემინული. +33,800 ნიშნულზე ,,4-4" ღერძთან დამატებულია ფანჯარა. ფასადზე გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. ,,6-4" მონაკვეთში +4,100 ნიშნულიდან ზევით სართულებზე შეცვლილია კარ-ფანჯრის რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი, ასევე შეცვლილია მათი ვიზუალი. +30,500 ნიშნულზე ,,6-4" მონაკვეთში აივნის თავზე დამატებით მოწყობილია გადახურვის ფილა. ,,3-3" ღერძის მიმდებარედ +7,40 ნიშნულის ზევით გაუქმებულია სავენტილაციო შახტა. +4,100 ნიშნულიდან ზევით ,,3-2" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟებს შორის მუაკედელი 0,1 მ-ით. +30,500 ნიშნულზე აივნების თავზე აწეულია გადახურვის ფილის დონეები. ფასადზე ,,3-1" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟების და კარის სიმაღლე 0,1 მ-ით. +3,20 ნიშნულზე კონსოლის ქვეშ შეცვლილია კედლის ფორმები. +32,150 ნიშნულზე ,,2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი, ხოლო ფილაზე დამატებულია ლითონის მოაჯირი, რითაც შექმნილია აივანი.

,,1-6" ფასადი: ,,3-5" მონაკვეთში +4,100 ნიშნულიდან ზევით დამატებულია აივნები და ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟები. ფასადზე გაუქმებულია დეკორატიული ლესვა. აივნებზე მინის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირები. ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების და კარ-ფანჯრის რაოდენობა, გაბარიტები და ვიზუალი. +32,150 ნიშნულზე ,,დ-დ" ღერძზე დამატებულია ფანჯარა, ხოლო ,,გ-გ" ღერძზე ვიტრაჟი. +33,800 ნიშნულზე ,,6-6" ღერძის გარეთ ფრამუგის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი. +32,150 ნიშნულზე აივნების და ტერასების თავზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილით გადახურვა.

,,ა-თ" ფასადი: ფასადი ნაწილობრივ შესაღებია. ნაწილობრივ აივნებზე დამატებულია ფანჯრები. ფასადზე ნაწილობრივ ფაქტურიანი ლესვის ნაცვლად მოწყობილია რელიეფური ლესვა. ±0,00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტები. არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. ,,ზ-თ" მონაკვეთში +4,100 ნიშნულიდან ზევით შენობის მთელ სიმაღლეზე აივნებზე არ არის მოწყობილი კედელი.

,,თ-ა" ფასადი: არსებული რელიეფის დონე არ შეესაბამება საპროექტოს. ,,თ-ზ" მონაკვეთში +5,750 ნიშნულიდან ზევით შენობის მთელ სიმაღლეზე აივნებზე არ არის მოწყობილი კედელი. ±0,00 ნიშნულზე შეცვლილია ღიობების გაბარიტები.

ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბები, კარადები და სატელიტური თეფშები, ასევე დამატებულია გამწოვი მილები. წყალშემკრები მილების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს. ფასადებზე შეცვლილია ღებვის ფერი. ფასადებზე შეცვლილია მოაჯირების სიმაღლე, ასევე კაპიტალური მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

-3,00 ნიშნულზე შემცირებულია კედლებს შორის მანძილი 0,2 მ-ით, რითაც შემცირებულია ფართი 8 $მ^2$-ით. სარდაფის ნაწილზე შემცირებულია სართულის სიმაღლე 0,3 მ-ით. ,,4-5" მონაკვეთში ,,ა-ა" ღერძზე მოწყობილია ღიობი პანდუსისთვის განკუთვნილი. ,,ე-ზ" მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის გაჩერების დონე და მოწყობილია კიბის ბაქნის ნიშნულზე. აღნიშნულ ბაქანზე გაუქმებულია სათავსო.

±0,00 ნიშნულზე, ,,4-5" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი. ,,ი-ი" ღერძის გარეთ შეცვლილია რელიეფის დონე, რითაც ±0,00 ნიშნულის ფილის დონე გაუსწორდა რელიეფის დონეს. შეცვლილია სართულის სიმაღლეები და სართულშუა გადახურვის ფილის დონეები არ შეესაბამება საპროექტოს. ,,3-5" მონაკვეთში ,,ა-გ" ღერძებს შორის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი. ,,დ-ა" მონაკვეთში შორის

შეცვლილია ფილის გაბარიტები და გაუქმებულია გამწვანების ზოლები.

+3,20 ნიშნულზე ,,თ-თ" ღერძის გარეთ გაუქმებულია ავტოსადგომი და პანდუსი, მათ ნაცვლად მოწყობილია ტერასის ფილა. ,,6-6" ღერძის გარეთ ,,თ-თ" ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია კოლონის და რიგელის ნაშვერი. +3,200 ნიშნულზე, ,,ზ-ზ" ღერძის გარეთ გაუქმებულია გამწვანების ზოლები. ,,4-3" მონაკვეთში გაუქმებულია ბაქანი, კიბე და ლიფტი შ.შ.მ. პირებისთვის განკუთვნილი. ,,3-3" ღერძის მიმდებარედ შახტა მონაცვლებულია და შეცვლილია მისი გაბარიტები.

,,4-3" მონაკვეთში ,,ე-თ" ღერძებს შორის +4,100 ნიშნულიდან ზევით სართულებზე გაზრდილია სადარბაზოს ფილის გაბარიტები, რითაც გაზრდილია შენობის ფართი. ,,3-3" ღერძზე ,,ზ-თ" მონაკვეთში +7,400 ნიშნულიდან ზევით სართულებზე გაუქმებულია ფანჯრები. ,,6-6" ღერძის გარეთ ,,გ-დ" მონაკვეთში +4,100 ნიშნულიდან ზევით შენობის მთელ სიმაღლეზე გაზრდილია აივნის სიგანე 0,5 მ-ით, ასევე გაზრდილია ,,6-6" ღერძის გარეთ მდებარე დიაგონალური კედლის სიგრძე 0,5 მ-ით. ,,გ-დ" მონაკვეთში ,,6-6" ღერძის გარეთ +33,800 ნიშნულზე, დამატებულია აივანი, ხოლო აივნის თავზე მოწყობილია გადახურვა. ,,3-4" მონაკვეთში კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა.

+28,850 ნიშნულზე, სართული მოწყობილია ქვედა ნიშნულების იდენტურად, რითაც ,,3-5" მონაკვეთში ,,ა-ბ" ღერძებს შორის ტერასების ხარჯზე მოეწყო საცხოვრებელი ფართი 17 მ^2-ი.

+32,150 ნიშნულზე სართული მოწყობილია პროექტის +28,850 ნიშნულის გეგმის ნახაზის მიხედვით, რითაც ტექნიკური სართული გადაკეთდა სრულ სართულად, ,,ბ-გ" მონაკვეთში ,,2-5" ღერძებს შორის გაიზარდა საცხოვრებელი ფართი 50 მ^2-ით, ხოლო ,,ა-გ" მონაკვეთში ,,1-6" ღერძებს შორის მოეწყო ტერასები და აივნები. ამავე ნიშნულზე ,,1-2" მონაკვეთში ,,თ-ბ" ღერძებს შორის გადახურვის ნაცვლად მოეწყო საცხოვრებელი ფართი დაახლოებით 22 მ^2-ი და ,,6-1" და ,,1-6" ფასადების მხრიდან დამატებით მოეწყო აივნები. ,,ე-ზ" მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის გაბარიტები.

+33,800 ნიშნულზე, ,,4-4" ღერძთან დამატებულია კიბის მარში. +34,550 მიშნულზე გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტები ,,ბ-ბ" ღერძამდე, მოწყობილია კედლები და გაზრდილია სახურავის სიმაღლეები, რითაც მოწყობილია მანსარდის სართული, ხოლო ,,1-2" მონაკვეთში მოწყობილია ტერასა დაახლოებით 24 მ^2-ი ფართის. ,,2-2" ღერძზე დამატებულია ორი კარის ღიობი და გაზრდილია კედლის სიმაღლე.

+33,800 ნიშნულზე, სხვენის სართული გადაკეთებულია მანსარდის სართულად , ,,6-6" ღერძის გარეთ ,,გ-დ" მონაკვეთში გაზრდილია კედლების, პარაპეტის და გადახურვების სიმაღლეები. ,,3-4" მონაკვეთში შეცვლილია სამანქანოს გაბარიტები, ასევე შეცვლილია ლითონის კიბის ფორმა და გაბარიტები.

+33,800 და +34,550 ნიშნულებზე გადახურვების ქვეშ დამატებულია ლითონის სვეტები.

შენობაში შეცვლილია კოლონების, რიგელების, მონოლითური კედლების და სავენტილაციო შახტების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. ასევე მონოლითურ კედლებში შეცვლილია ღიობების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებულია. ,,ზ-ე" მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები და მონაცვლებული აქვს ადგილი. სახურავზე სავენტილაციო შახტებზე დამატებულია თუნუქის ქუდები. შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია და გადახურვის მასალა.

შეცვლილია საკადასტრო საზღვრების კონფიგურაცია.

პროექტის ხარვეზი: ,,3-4" მონაკვეთში გეგმის ნახაზის მიხედვით შეცვლილია კიბის მარში და კონფიგურაცია, კიბე მოწყობილია ჭრილის ნახაზის მიხედვით.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო
სამსახურის უფროსის მოადგილე) გიორგი გეჯაძე